

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2018 წლის 17 იანვარი

ქ.ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2, პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი №2 შესაბამისად.

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №54 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01/01/2018, 010250050.35.167.016345);

ბ) „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №56 დადგენილება (www.matsne.gov.ge 28/12/2017, 010250050.35.167.016347).

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

დანართი №1

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650 ლარი
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1800 ლარი
3	საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარე	1500 ლარი
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1125 ლარი



ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო
ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	მოხელის თანამდებობათა რანგები	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	I რანგი	აპარატის უფროსი – საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1300
ადმინისტრაციული განყოფილება				
2	II რანგი	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1000
3	III რანგი	რეფერენტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	700
4	III რანგი	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და საკანცელარიო საკითხების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	700
საორგანიზაციო განყოფილება				
5	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1000
6	III რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	700
7	III რანგი	ადამიანური რესურსების მართვისა და კომპიუტერული მომსახურების საკითხების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	700

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 19.02.2018 წ.

